

დადგენილება № __

2017 წლის __ სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის N 6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის N 6 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულებაში“ (სსმ, ვებგვერდი, 010220020.16.009.016082, 10/03/2014) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტს „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო¹“ ქვეპუნქტი:
„ო¹) მომსახურების კომერციული ხარისხის კონტროლის სამსახური;“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელობს მთავარი მრჩეველი, ხოლო დეპარტამენტს – დირექტორი, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილე (მოადგილეები). დეპარტამენტში შეიძლება არსებობდეს სამმართველოები. სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, ხოლო სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.“

2. მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტი

მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების დარგების რეგულირების მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება და მათი სრულყოფის კოორდინაცია;

ბ) ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება;

გ) რეგულირების საერთაშორისო ტენდენციებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების შესწავლა-ანალიზი და მათ საფუძველზე სათანადო ინფორმაციის, წინადადებებისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

დ) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მიერ გაწეული მომსახურების საიმედოობის (უწყვეტობის) მაჩვენებელთა მონიტორინგის სისტემის დანერგვა, აგრეთვე მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის (უწყვეტობის) მონაცემთა ანალიზი და მონიტორინგი, შესაბამისი დაკვნების მომზადება;

ე) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში კომისიის ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულების კონტროლი;

ვ) გაწეული საქმიანობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშების შედგენა,

ასევე კომისიის თავმჯდომარის დავალებით ნებისმიერი სხვა პერიოდის ანგარიშის შედგენა;

ზ) დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე განცხადებებისა და წერილების განხილვა და მათზე რეაგირება.“.

3. მე-17 მუხლის პირველ პუნქტს „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ¹“ ქვეპუნქტი:

„ვ¹) კომისიის ცხელი ხაზით მომსახურების უზრუნველყოფა;“.

4. 22-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 22¹ მუხლი:

„მუხლი 22¹. მომსახურების კომერციული ხარისხის კონტროლის სამსახური მომსახურების კომერციული ხარისხის კონტროლის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ლიცენზიატებისა და მიმწოდებლების მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგის სისტემის დანერგვის კოორდინაცია, აგრეთვე ამ სისტემის სრულყოფის მიზნით სათანადო წინადადებების შემუშავება;

ბ) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის მონაცემთა ანალიზი და მონიტორინგი, შესაბამისი დასკვნის მომზადება;

გ) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში კომისიის ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულების კონტროლი;

დ) გაწეული საქმიანობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშების შედგენა, ასევე კომისიის თავმჯდომარის დავალებით ნებისმიერი სხვა პერიოდის ანგარიშის შედგენა;

ე) დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე განცხადებებისა და წერილების განხილვა და მათზე რეაგირება.“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარე

ი. მილორავა

კომისიის წევრი:

მ. მელიქიძე

კომისიის წევრი:

გ. ფანგანი